გუნდების შემადგენლობა — СОСТАВЫ КОМАНД

„ტორპედო" — «ТОРПЕДО»

№	ხარინი	№	Харин
№	პოლუკაროვი	№	Полукаров
№	გალაიბა	№	Галайба
№	პრიგოდა	№	Пригода
№	კობზევი	№	Кобзев
№	შავეიკო	№	Шавейко
№	შირინბეკოვი	№	Ширинбеков
№	ი. სავიჩევი	№	Ю. Савичев
№	მუშტრუევი	№	Муштруев
№	ნ. სავიჩევი	№	Н. Савичев
№	გრეჩნევი	№	Гречнев
№	შავლო	№	Шавло
№	აგაშკოვი	№	Агашков
№	პოლუკაროვი	№	Полукаров
№	ჟელანოვი	№	Желанов
№	პისარევი	№	Писарев

კაპიტანი ს. პრიგოდა — Капитан С. Пригода

უფრ. მწვრთნელი ვ. ივანოვი — Ст. тренер В. Иванов

„ბორდო" — «БОРДО»

№	დროპსი	№	Дропси
№	ტუვენელი	№	Тувенель
№	ზორ. ვუიოვიჩი	№	Зор. Вуйович
№	როში	№	Рош
№	ბატისტონი	№	Баттистон
№	ჟირარი	№	Жирар
№	ზლ. ვუიოვიჩი	№	Зл. Вуйович
№	ტიგანა	№	Тигана
№	ფარჟონი	№	Фаржон
№	ფერერი	№	Феррери
№	ტური	№	Туре
№	რორი	№	Рор
№	ლიაკომბი	№	Лякомб
№	ვერკრიუისი	№	Веркрюисс
№	შალანა	№	Шалана
№	შპეხტი	№	Шпехт

კაპიტანი პ. ბატისტონი — Капитан П. Баттистон

უფრ. მწვრთნელი ემე ჟაკე — Ст. тренер Эме Жаке

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონის პრეს-ცენტრი

შემდგენელი ო. ნოზაძე

მხატვარი გ. კარტოზია — მომშვები ა. სამხარაძე

№ 2 (226) — ფასი 25 კაპ.

შეკვ. 713. ტირაჟი 5.000 უე 00137.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14.

ფეხბურთი
ФУТБОЛ
FOOTBALL

COUPE DES COUPES

КУБОК КУБКОВ

თასების თასი

«ტორპედო»
მოსკოვი, სსრ კავშირი

«ТОРПЕДО»
МОСКВА, СССР

«TORPEDO»
MOSCOU, URSS

«ბორდო»
ბორდო, საფრანგეთი

«БОРДО»
БОРДО, ФРАНЦИЯ

«BORDEAUX»
BORDEAUX, FRANCE

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი ● Тбилисский стадион «Динамо» имени В. И. Ленина

18.03
1987

20.00

КЛКСФ "…Ш… В ЕВРОКУБКАХ"

დღეს ჩვენს სტადიონზე...

გაიმართება ევროპის ჭეშმარიტების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი.

ორი კვირის წინ...

„ბორდოს“ ფეხბურთელები მასპინძლობდნენ მოსკოვის „ტორპედოს“.

ბორდო. სტადიონი „შუნისიპალი“, 4 მარტი. 35 000 მაყურებელი.

მსაჯები: კ. პიერი, ლ. ლიუჩი, ა. პეცელა (ყველა — იტალია).

„ბორდო“: დროპსი, ტუვენელი, ზორ. ვუიოვიჩი, რიში (რორი), ბატისტონი, ჟირარი, ზლ. ვუიოვიჩი, ტიგანა, ფარიონი, ფერერი, ტურე (ლიაკომბი).

„ტორპედო“: ხარინი, პოლუკაროვი, გალაიბა, პრიგოდა, შავეიკო, შირინბეკოვი, ი. სავიჩევი (კობზევი), შუშტრუევი, ნ. სავიჩევი, გრეჩნევი (შავლო), აგაშკოვი.

გოლი: ფარიონი (57-ე წუთი).

გაფრთხილეს ფერერი, გრეჩნევი, პრიგოდა.

საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულებმა იხილეს ამ მატჩის ტელერეპორტაჟი. ტორპედოელები, ცხადია, ბევრად არასახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ თავიანთ მეტოქეებთან შედარებით, საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ „ბორდო“ მასპინძლის როლში გამოდიოდა და, მაშასადამე, „საკუთარი კედლების“ იმედი ჰქონდა. მთავარი ის გახლდათ, რომ საფრანგეთში ქვეყნის ჩემპიონატი ახლა სრულ ძალაშია შესული და გუნდები საბრძოლო ფორმაში იმყოფებიან. „ტორპედო“ კი 4 მარტს პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა სეზონში და, ცხადია, „ზამთრის ძილის“ შემდეგ სპორტულ ფორმაზე ჯერ ნაადრევი იყო ლაპარაკი. ავტოქარხნელთა უფროს მწვრთნელს ვალენტინ ივანოვს ბორდოს მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე შესაძლებლობა მიეცა ეხილა მეტოქის თამაში საფრანგეთის ჩემპიონატში. „ბორდო“ ქვეყნის ერთ-ერთ ძლიერ გუნდს „ნანტს“ ხვდებოდა. 2:0 — გაიმარჯვეს ბორდოელებმა, რომლებმაც მობილური, სწრაფი, შემტევი ფეხბურთი აჩვენეს. რაც შეეხება ტორპედოელებს, მათ ცუდად არ ითამაშეს დაცვაში, მაგრამ ვერ დაამყარეს ურთიერთკავშირი ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის, ამასთან ისინი ნაკლებად მოძრაობდნენ მოედანზე. ყოველივე ამას, ცხადია, ტორპედოელები გაითვალისწინებენ დღევანდელ შეხვედრაში და, ეპვგარეშეა, შეეცდებიან მეტოქის მინიმალურ უპირატესობას ანგარიშში კარგი თამაშითა და გამოცდილი დროპსის კარზე შედეგიანი შეტევებით უპასუხონ.

უეფა-ს კომისარი პარაიოლა (ფინეთი)

მსაჯთა ბრიგადა:
ჰალერი,
პებუტსი, დაგლიადუ (ყველა — შვეიცარია).

КОМИССАР УЕФА ПАРАЕЛЛА (Финляндия)

СУДЕЙСКАЯ БРИГАДА:
ГАЛЛЕР,
ПЕБУТСИ, ДАГЛИАДУ (ВСЕ — ШВЕЙЦАРИЯ).

«ТОРПЕДО»

КОНЕЧНО, 9-ое место московских автозаводцев, занятое ими в прошлогоднем чемпионате, успехом в истории этого популярного и, кстати, одного из старейших в стране клубов, не назовешь («Торпедо» трехкратный чемпион страны, пятикратный обладатель Кубка СССР). Однако сезон—86 клуб знаменитых мастеров кожаного мяча Александра Пономарева и Агустина Гомеса, Валентина Иванова и Эдуарда Стрельцова, Валерия Воронина и Виктора Шустикова все же закончил с высокоподнятой головой — вышел в четвертьфинал престижного европейского турнира — розыгрыш Кубка кубков. Скажем прямо, в конце сезона молодежь команды показала содержательный футбол, вселив в своих болельщиков определенный оптимизм. В приподнятом настроении начали автозаводцы подготовку к сезону. 5 января «Торпедо» по традиции вылетело в Адлер на учебно-тренировочный весенний сбор, во время которого сыграла несколько контрольных матчей. 17 января команда поехала в международное турне — в Тунис и Францию, где ее молодые игроки набрались опыта, неплохо подготовились к матчам нового футбольного сезона. Что касается изменении в составе, они незначительны — закончили выступать за «Торпедо» Редкоус, Пивцов и Гостенин. В коллектив пришли Ширинбеков (из «Памира»), Агашков (из ростовского СКА), из этого же клуба вернулся в команду Галайба.

«БОРДО»

ФУТБОЛЬНЫЙ клуб «Бордо» (полное название «Жирондер де Бордо») не новичек на наших футбольных полях. Два года назад он в Кубке европейских чемпионов (также в четвертьфинале) дважды встречался с днепропетровским «Днепром». Оба матча завершились вничью — 1:1. Однако серия 11-метровых (5:3) вывела в следующий круг французских футболистов. И вот, вновь принимаем у себя в Тбилиси футболистов с берегов реки Жиронды, на котором стоит город Бордо. Впервые это было в нашем городе 33 года назад — 14 июня 1954 года. (Помните: «Динамо» Тбилиси — «Жиронда Бордо» — 4:0, — голы забили К. Гагнидзе (2), Антадзе и Тодрия). Что же представляет сегодняшний соперник московского «Торпедо»? Достаточно сказать, что «Бордо» в 1984 и 1985 годах выиграл чемпионат Франции, а в 1986 году стал третьим призером и обладателем Кубка страны. Ныне «Бордо» вместе с марсельским «Олимпиком» является одним из главных претендентов на победу в национальном чемпионате и единственной французской командой, борющейся за континентальный кубок. Команда рассталась с любимцем публики, 33-летним маленьким крепышом — «французиком из Бордо», знаменитым полузащитником сборной Жирессом, сочтя его возраст критическим. «Бордо» продала «Рэсингу» Тюссо, зато были приобретены Туре (из «Нанта»), Феррери (из «Оксера»), Веркрюнсс (из «Лана»), братья-близнецы Златко и Зоран Вуйовичи (первый старше... на 15 минут) из югославского «Хайдука». Кстати, из обоих было заплачено по 12 миллионов франков. Пятеро игроков «Бордо» выступают за сборную страны.

ЖАН ТИГАНА

საფრანგეთი ფეხბურთი

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია (ფედერასიონ ფრანსეზ დე ფუტბოლ) შექმნილია 80 წლის წინ, ფიფა-ს წევრი იგი ჯერ კიდევ 1908 წელს გახდა. ქვეყნის ჩემპიონატი 1926 წლიდან ტარდება, ხოლო თასის გათამაშება — 1917 წლიდან. სწორედ ფრანგებმა დააწესეს ევროპული ტურნირების (ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასის, კონტინენტის თასის) გათამაშებები, „ოქროს ბურთის", „ოქროს ბუცის" თასები, ფრანგი იყო ჟიულ რიმეც, ვისი სახელი ეწოდა ფიფა-ს მთავარ ტურნირს — მსოფლიო ჩემპიონატს. ცისფერ-თეთრწითელმაისურიანებმა დიდ ფეხბურთს მისცეს ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან რაიმონ კოპა, როჟე მარში, როჟე პიანტონი, ჟან ვენსანი, ჟიუსტ ფონტენი, რობერ ჟონკე, მიშელ პლატინი და სხვა.

1984 წლის 27 ივნისს საფრანგეთის ნაკრებმა გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ესპანელები (2:0) და ევროპის ჩემპიონი გახდა. გუნდის კაპიტანმა და მთავარმა ბომბარდირმა მიშელ პლატინიმ (გაიტანა 9 ბურთი) სანუკვარი თასი ჩაიბარა უეფა-ს პრეზიდენტ ჟაკ ჟორჟისაგან. ევროპის ჩემპიონები, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები, ახლაც იბრძვიან კონტინენტის თასისათვის ანრი დელანეის სახელს რომ ატარებს, თუმცა ერთობ წარუმატებლად. ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ანრი მიშელი, რომელმაც მიშელ იდალგო შეცვალა, თვლის, რომ ფინალური საგზურისათვის ალბათ დიდი მნიშვნელობა ექნება მისი გუნდის 9 სექტემბრის გასვლით შეხვედრას „ყველაზე სახიფათო კონკურენტთან" — სსრ კავშირის ნაკრებთან.

როგორც ა. მიშელმა თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, ფრანგული ფეხბურთის „მაძღარმა წლებმა" უკვე ჩაიარა. ცნობილი ოსტატები ბოსი, ეირესი, როშტო გამოეთხოვენ ნაკრებს, რაც შეეხება მ. პლატინის, იგი არა თუ ნაკრებში, თავის მშობლიურ კლუბშიც კი ალარ არის ლიდერი. როგორც ჩანს, იგი ქვეყნის მთავარ გუნდში სეზონის ბოლომდე თუ ითამაშებს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ „ეიროდასთან" 33 წლის წინანდელი შეხვედრის გარდა, თბილისელებმა ფრანგი ფეხბურთელები მოგვიანებითაც იხილეს — 1959 წლის 23 ივნისის მატჩში თბილისის „დინამოსა" და რეიმსის „სტად დე რეიმსს" შორის (ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს 5:2) და 1985 წლის 27 ნოემბერს, როდესაც მოსკოვის „სპარტაკი" უეფა-ს თასის მერვედფინალში მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა „ნანტის" კლუბთან.

როგორც სამოდე დღის წინ გახდა ცნობილი, მიშელ პლატინი, თავისი ოჯახით იტალიის ქალაქ ტურინის მახლობლად მოგზაურობის დროს, საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა. თვით მიშელს და მის ვაჟს, 8 წლის ლორანს არაფერი დამართვიათ, მეუღლე და 5 წლის ქალიშვილი მარინი კი მცირედ დაშავდნენ.

მიშელ პლატინი

ПОПУЛЯРНЫЙ французский актер театра и кино Жерар Филипп, которого советский кинозритель хорошо помнит по кинолентам «Красное и черное» (Жюльен Сорель), «Пармская обитель» (Фабрицио дель Донго), «Фанфан-Тюльпан» (Фанфан), «Приключения Тиля Уленшпигеля» (Тиль Уленшпигель), «Монпарнас, 19» (Амадео Модильяни) и другим, 23 октября 1955 года на переполненном московском стадионе «Динамо» перед матчем сборных СССР и Франции сделал почетный первый удар по мячу. Было тогда этому обаятельному актеру 33 года, через четыре года его не стало.

Фрагмент того памятного матча, закончившегося вничью — 2:2. Стенка не помогла, мяч после штрафного удара, пробитого Эдуардом Стрельцовым, оказался в сетке ворот гостей. Кроме него в этот день отличились наш Никита Симонян, французы Раймон Копа и Роже Пьянтони.

დიდი საფეხბურთო მარათონი

დასავლეთ-სამხრეთის ტრიბუნების შესაყართან, მწვანე მინდვრის კუთხესთან, მაღალ ფლაგშტოკზე მერვე დღეა ფრიალებს სსრ კავშირის ახალი, რიგით 50-ე ჩემპიონატის დროშა, რომელიც საზეიმო ვითარებაში აღმართეს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტნებმა ალექსანდრე ჩივაძემ და რინატ დასაევმა (მათ ჩვენს ფოტოსურათზე ხედავთ) — სტარტი აიღო დიდმა საფეხბურთო მარათონმა, ნოემბრის შუა რიცხვებში რომ ექნება ფინიში.

უკვე გაიმართა ორი ტური, ფეხბურთის მოყვარულებმა პირველი შედეგები შეიტანეს გათამაშების ცხრილში. მაშ ასე: I ტური — ცსკა-„დინამო“ მნ. — 1:0, „ნეფთჩი“-„ტორპედო“ — 0:0, „დნეპრი“-„ქაირათი“ — 0:0, „შახტიორი“-„ზენიტი“ — 1:1, „დინამო“ თბ.-„სპარტაკი“ — 1:3, „არარატი“-„მეტალისტი“ — 1:0, „დინამო“ მ.-„ჟალგირისი“ — 1:0; II ტური — „არარატი“-„ტორპედო“ — 1:0, „დნეპრი“-„ზენიტი“ — 6:1, „შახტიორი“-„ქაირათი“ — 1:0, ცსკა-„ჟალგირისი“ — 2:2, „გურია“-„სპარტაკი“ — 0:2, „ნეფთჩი“-მეტალისტი“ — 1:2, „დინამო“ მ. — „დინამო“ მნ. — 1:1.

მოგვყავს III ტურის კალენდარი: 21 მარტი — „ქაირათი“-ცსკა, „ზენიტი“-„დინამო“ მ., „ჟალგირისი“-„დნეპრი“, „დინამო“ მნ.-„შახტიორი“, „სპარტაკი“-„ნეფთჩი“, „მეტალისტი“-„გურია“, 22 მარტი — „დინამო“ კ.-„არარატი“, „ტორპედო“-„დინამო“ თბ.

ყვავილები, ყვავილები...

დღესაც თვალწინ გვიდგას ქართული ფეხბურთის ცნობილი ოსტატების მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, ვლადიმერ ბარქაიას, ილია დათუნაშვილის გაცილება დიდი ფეხბურთიდან, ამაღელვებელი საზეიმო ცერემონიალი, სიხარული და სევდა რომ ხდევდა ერთდროულად, მერე კარგახანს მივივიწყეთ ეს კარგი ტრადიცია. მწვანე მინდორს, რომ იტყვიან პროზაულად, უოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე დაეთხოვენ არანაკლებად პოპულარული ფეხბურთელები მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი... და აი, კვლავ აღსდგა კეთილი წეს-ჩვეულება. 50-ე საკავშირო ჩემპიონატის სასტარტო მატჩის მართლაც რომ დაუვიწყარ „უვერტიურას“ წარმოადგენდა პოპულარული დინამოელი ფორვარდის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ გუცაევის გაცილება დიდი ფეხბურთიდან. დიახ, ამჯერადაც დიდი სიხარულიც იყო და ცრემლებიც, მეგობრული კოცნა და ყვავილები — ყვავილები, ჭრელი ათასფერადი...

თუმცა ვლადიმერ გუცაევი ხლარ გამოვა მწვანე მინდორზე თეთრ-ცისფერი მაისურით, უკან „9“ ნომერი რომ აწერია, მაგრამ, როგორც თვითონ განუცხადა ჟურნალისტებს, ფეხბურთის ვერასოდეს უღალატებს, ისევ დარჩება საყვარელ სპორტში.

ქართული ჩაი

სტუმართმოყვარეობისა და კეთილგანწყობილების სიმბოლოა...

„ჩაი აღადგენს ენერგიას, აქარვებს უგუნებობას, დევნის სიზარმაცეს“.

კარგად მომზადებული, გულით შემოთავაზებული ჩაი ადამიანზე, მის სულიერ სიმხნევეზე ზრუნვაა, ადამიანთა ურთიერთობის კულტურის გამომხატველია.

23-28 მარტს ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება ჩაის კვირეული.

რესტორნებში, კაფეებში, სასადილოებში სტუმრებს უმასპინძლებენ სურნელოვანი ქართული ჩაით, გამოცდილი ტიტესტერები გააცნობენ მათ ჩაის შენახვისა და დაყენების წესებს, მოუთხრობენ ჩაის შესახებ.

29 მარტი ქართული ჩაის ზეიმის დღეა!

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.
საქართველოს სარეკლამო სააგენტო.